დარგობრივი პრაქტიკის კრედიტების მოპოვების ინსტრუქცია

კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

„მუსიკის ტექნოლოგია"

2026 წელი

დარგობრივ პრაქტიკასთან დაკავშირეული აქტივობები

1. დარგობრივი პრაქტიკა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის ტექნოლოგიის" ფარგლებში წარმოადგენს აუდიო ჩანაწერის განხორციელებასთან, კონცერტების გახმოვანებასთან, ხელნაწერი სანოტო მასალის კომპიტერული ვერსიის შექმნასთან, ელექტროაკუსტიკური მუსიკის შეთხზვასა და შესრულებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.
2. დარგობრივ პრაქტიკასთან დაკავშირებულ აქტივობებს სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურად, მითითებების გარეშე, ან საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის/სხვა ლექტორის/სპეციალისტის კონსერვატორიაში და მის ფარგლებს გარეთ ნებისმიერ დაწესებულებაში. მითითებების გათვალისწინებით.

დარგობრივი პრაქტიკის აქტივობებით კრედიტების მოპოვების პროცედურა

1. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტმა დარგობრივ პრაქტიკის აქტივობებში უნდა მოაგროვოს (125 ასტრონომიული საათის ექვივალენტი) 5 ECTS კრედიტი. (25 ასტრონომიული საათი უდრის 1 ECTS კრედიტს).
2. დარგობრივი პრაქტიკის კრედიტების დაგროვება შესაძლებელია ბაკალავრიატში სწავლის პერიოდში, თუმცა მისი აღიარება ხდება სწავლების მე-6 სემესტრში
3. დარგობრივი პრაქტიკის აქტივობებით კრედიტების მოპოვება მოიცავს შემდეგ პროცედურას:

ა) სტუდენტი წერს განცხადებას ფაკულტეტის დეკანის სახელზე და წარადგენს ცნობას/ცნობებს, რომელიც აღასტურებს მის მიერ დარგობრივ პრაქტიკასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას. ცნობაში მითითებული უნდა იყოს აღნიშნული აქტივობის განხორციელებისას სტუდენტის მიერ დახარჯული დრო.

ბ) სპეციალური კომისია განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და გამოაქვს დადგენილება სტუდენტისთვის დახარჯული დროის შესაბამისი კრედიტების მინიჭების შესახებ.

გ) კომისიის დადგენილება აისახება კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილ ოქმში.

დ) კრედიტების მიმნიჭებელი ოქმი გადაეცემა სასწავლო დეპარტამენტსა და დეკანატს, სტუდენტის სასწავლო ბარათში და დიპლომის დანართში ასახვისათვის

დარგობრივი პრაქტიკის აქტივობებით კრედიტების მიმნიჭებელი კომისია

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის ტექნოლოგიის" სტუდენტებისათვის დარგობრივი პრაქტიკის აქტივობებით კრედიტების მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობა დაკომპლექტებულია დარგის სპეციალისტით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დეკანის/სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლებით .